



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი

გორი  
2018 წელი

### **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი არეგულირებს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს, რათა აკადემიამ მიიღოს იუნკერთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც შეძლებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიცემას საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, აგრეთვე აკადემიის შესაბამისი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

### **მუხლი 2. იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურა**

1. იუნკერთა კონტინგენტის რაოდენობას ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საჭიროებებიდან გამომდინარე.
2. ყოველ სასწავლო წელს აკადემიის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში ხორციელდება იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი მომავალი სასწავლო წლისთვის, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაიზარდა ან/და შემცირდა კონტინგენტის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით.
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სასწავლო წლის დაწყებამდე ამტკიცებს კოლეჯში/ბაკალავრიატში მისაღებ იუნკერთა რაოდენობას;

### **მუხლი 3. იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია**

1. იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვისას ხდება შემდეგი სამიზნე ჯგუფების და მათი რაოდენობების გათვალისწინება:
  - ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული იუნკერების (მათ შორის უმაღლესი განათლების კანონით განსაზღვრული კვოტის ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულები - აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი იუნკერები);
  - ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული იუნკერები;
  - გ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული იუნკერები;
  - დ) საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული იუნკერები;
  - ე) მობილობით გადმოსული იუნკერები და სხვ.
2. იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება წინა არანაკლებ სამი სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემები სწავლების საფეხურების, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, კერძოდ:
  - ა) გამოცხადებული საკონკურსო ადგილების რაოდენობა და რექტორის ბრძანებით ჩარიცხულთა რაოდენობა;
  - ბ) დარჩენილი ვაკანსიების რაოდენობა;
  - გ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსშეჩერებულ იუნკერთა რაოდენობა;
  - დ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსშეწყვეტილ იუნკერთა რაოდენობა;
  - ე) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსადგენილ იუნკერთა რაოდენობა;
3. იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

- ა) შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მატერიალური და საინფორმაციო რესურსი და მისი თანაფარდობა იუნკერების არსებულ დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ: საერთო, სასწავლო და დამხმარე ფართის მოცულობა, სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა და მოცულობა, კომპიუტერული და სხვა სახის ლაბორატორიების მოცულობა და რაოდენობა, ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობა, სივრცე იუნკერთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, კომპიუტერების და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების არსებობა და მათი რაოდენობა და სხვ.;
- ბ) შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ადამიანური რესურსი და მისი თანაფარდობა იუნკერების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა იუნკერების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან; საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორების, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების თანაფარდობა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა იუნკერების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან;
- გ) აკადემიის ფინანსური შესაძლებლობები (მაგალითად, ბიუჯეტის ხარჯვითი სტრუქტურა პერსონალის ხელფასზე, სამეცნიერო კვლევებზე, იუნკერთა სერვისებზე, პრაქტიკებზე, მივლინებებზე და სხვ.);
- დ) შეიარაღებული ძალების მოთხოვნების ანალიზი;
- ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- ვ) აკადემიის და/ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები;
- ზ) მიმდინარე სასწავლო წლისთვის კურსდამთავრებულ იუნკერთა რაოდენობა.